

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა
და მისი შვილობილი ორგანიზაციების
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	-2-
2. ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	
2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	-7-
2.2 სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება	-8-
2.3 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	-9-
2.4 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	-10-
3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	-11-

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრის დამფუძნებლებს

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დავგნიშნეს 2020 წლის 9 ივლისს და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2019 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2018 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი

შვილობილი კომპანიებისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიების ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიების ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები

პასუხისმგებლები არიან შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ჯავახავტოგზის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიების როგორც ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიები, როგორც ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

სხვა გარემოებები

შპს შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიების როგორც ჯგუფის წინა პერიოდების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი ჩატარებული არ არის.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

სს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

პატივისცემით,

ოთარ ახოზაძე

გარიგების პარტნიორი

ხელმოწერა

თარიღი

სს აუდიტორული კომპანია „ალტერ ეგო“

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი
 მედცენტრის და მისი შვილობილი კომპანიების
 კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
 ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

31-Dec-19	
აქტივები	
ფული და ფულის ექვივალენტები	33,297
მოთხოვნები მიწოდებიდან	6,614,699
გადახდილი ავანსები	597,160
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1,025,273
გაცემული სესხები	58,570
მისაღები პროცენტი	19,194
სხვა მიმდინარე აქტივები	266,700
სულ მიმდინარე აქტივები	8,614,893
ძირითადი საშუალებები	12,448,708
არამატერიალური აქტივები	875
გუდვილი	11,065,428
სულ გრძელვადიანი აქტივები	23,515,001
სულ აქტივები	32,129,904
ვალდებულებები	
სავაჭრო ვალდებულებები	18,933,601
მიღებული ავანსები	12,398
გადასახდელი ხელფასები	640,919
მოკლევადიანი სესხები	5,057,003
გადასახდელი პროცენტები	52,981
საგადასახადო ვალდებულებები	233,139
ოვერდრაფტი	372,652
მიმდინარე ვალდებულებები	25,302,693
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	206,906
გრძელვადიანი ვალდებულებები	206,906
სულ ვალდებულებები	25,509,599
კაპიტალი	
სააქციო კაპიტალი	311,235
გაუნაწილებელი მოგება	6,309,070
გადაფასების რეზერვი	
მთლიანი კაპიტალი	6,620,305
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	32,129,904

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი
 მედცენტრის და მისი შვილობილი კომპანიების
 სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის
 კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2019 წელი

შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	18,399,442
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5,626,684)
Gross profit	12,772,759
ხელფასის ხარჯი	(7,578,165)
იჯარის ხარჯი	(635,935)
მიწოდების ხარჯები	(24,943)
ბანკის მომსახურება	(18,748)
ოფისის ხარჯი	(137,778)
საგადასახადო ხარჯი	(34,639)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(1,024,306)
სხვა ხარჯი	(137,471)
EBITDA	3,180,774
საპროცენტო შემოსავალი	23,417
საპროცენტო ხარჯი	(139,009)
წმინდა შემოსავალი/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	539,813
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	82,136
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(15,673)
Net profit	3,671,458
მოგების გადასახადი	
Net profit	3,671,458

**შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრის და
მისი შვილობილი კომპანიების**
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2019 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3,130,677
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან	16,962,996
გადახდილი მომწოდებლებზე	-6,462,747
გადახდილი ხელფასები	-5,767,353
გადახდილი გადასახადები	-1,602,220
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-5,011,902
სესხის გაცემა	
გაცემული სესხის მიღება	100
გრძელვადიანი ინვესტიციის შეძენა	-5,012,002
გრძელვადიანი ინვესტიციის რეალიზაცია	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1,918,550
მიღებული სესხი	3,120,752
გადახდილი სესხი	-953,834
გადახდილი %	-248,368
სავალუტო კურსის ეფექტი	-4,028
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	-4,028
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	33,297
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	33,297

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრის და
მისი შვილობილი კომპანიების
კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ
31-Dec-18	311,235	2,637,612	3,883,707
შენატანები კაპიტალში			(934,860)
პერიოდის შემოსავალი		3,671,458	3,671,458
გადახდილი დივიდენდი			0
31-Dec-19	311,235	6,309,070	6,620,305

1. ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, პუშკინის ქ., N118/N 120

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალ მედცენტრის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო საქმიანობა, რომელიც მოიცავს როგორც სტაციონარულ, ასევე ამბოლატორიულ მომსახურეობას, კლინიკაში ფუნქციონირებს შემდეგი მართულებები: გადაუდებელი მედიცინა (ემერჯენსი), კრიტიკული მედიცინა და ანესთეზია, ზოგადი ქირურგია, უროლოგია, გინეკოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ტრავმატოლოგია, კლინიკური ონკოლოგია (ქიმიოთერაპია და პალიატიური მედიცინა) ინტერვენციული კარდიოლოგია, არითმოლოგია, ანგიოლოგია, ნევროლოგია და ნეიროქირურგია, დიალიზი, რადიოლოგია (ულტრაბგერითი, რენტგენოლოგიური, კომპიუტერული და მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია), კლინიკური დიაგნოსტიკის, ბიოქიმიური, იმონოფერმენტული და პათომორფოლოგიური ლაბორატორია.

„კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

კომპანიას გააჩნია შვილობილი საწარმოები:

შპს ინტენსიური ზრუნვის ცენტრი ს/ნ 402131527.

რომელიც დაფუძნდა 2019 წლის ივლისში. ამ საწარმოში კომპანიის წილი შეადგენს 100%-ს; მისი მისამართია ქ. ბათუმი, ტბეთის 4 აღნიშნული საწარმოს საქმიანობის სფეროა რეფერალური დახმარებები ცენტრი.

შპს აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრი ს/ნ 245428372.

საწარმოში კომპანიის მიერ 2019 წლის ნოემბერში შეძენილია 100%-იანი. კომპანია საწარმოს აკონტროლებს 2019 წლის ბოლოდან. მისი მისამართია მისამართია ქ. ბათუმი, პუშკინის 118. აღნიშნული საწარმოს საქმიანობის სფეროა უძრავი ქონების გაქირავება.

თავის მხრივ ეს შვილობილი საწარმო 100%-იან წილს ფლობს შპს მედინვესტი-2017-ში. მისი მისამართია ქ. ბათუმი, პუშკინის 118 აღნიშნული საწარმოს საქმიანობის სფეროა მშენებლობა

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, 2018 წელს შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი არ ფლობდა შვილობილ კომპანიებს. შესაბამისად კონსოლიდაციის ვალდებულება წარმოიშვა 2019 წლის მონაცემებში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დამფუძნებელთა კრებაზე.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საგადასახადო კანონმდებლობა. „კომპანია“ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1 სამუშაო ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით

ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2 ძირითადი საშუალებები

3.2.1 აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწვევითანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ასევე ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება მათი გადაფასება მსს ფასს მე-17 განყოფილების მოთხოვნათა დაცვით.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობებზე - 5 %

ნაგებობებზე - 5 %

მანქანა-დანადგარები და სამშენებლო ინსტრუმენტები - 8 %

ელექტრო აღჭურვილობა - 8 %

კომპიუტერიული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები - 20 %

კავშირგაბმულობის საშუალებები - 8 %

ავეჯი და ინვენტარი - 20 %

ტრანსპორტი - 20 %

სხვა ამორტიზებადი ძირ. საშუალებები - 15 %

1.2.2 აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსს ფასს სტანდარტის მე-20 განყოფილება – „იჯარა“ - მოითხოვს განსხვავებული მიდგომის გამოყენებას, აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის შემთხვევაში). ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად

წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან

სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად საუკეთესო შეფასების საფუძველზე იმ წინაპირობით, რომ ეს ვადა არ აღემატება 10 წელს.

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს მე-11 განყოფილების 11.2 (ბ) პუნქტის შესაბამისად, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოება ბასს 39-ის მიხედვით.

3.5.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

3.5.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად

და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.5.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

3.6 გადასახადები

3.6.1 მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების

თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

3.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

3.8 შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

3.9 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

4. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

- დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძველად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარე ბი	სპეციალური მოწყობილო ბები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	ტრანსპორ ტი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2018 წმინდა საბალანსო ღირებულება	669,506	1,482,529	341,425	3,277,342	333,469	0	10,467	6,114,738
შესყიდვები		180,840	158,333	2,118,658	240,127	156,229	253,388	3,107,574
კონსოლიდაც იით								
შემოსვლა	858,688	2,734,274	147,603	297,652	276,994	35,573	7,373	4,358,156
რეალიზაცია				-107,001	-596			-107,597
31 დეკემბერი 2019 ცვეთა		-77,820	-32,996	-811,312	-88,273	-12,899	-864	-1,024,164
31 დეკემბერი 2019 წმინდა საბალანსო ღირებულება	1,528,194	4,319,823	614,364	4,775,339	761,721	178,903	270,364	12,448,708

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2019 წელი
ნაღდი ფული საღაროში	3 627
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3 627
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	
ფული საბანკო ანგარიშებზე	29 670
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	29 670
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	
სულ	33 297

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2019 წელი
საქონელი	1 023 573
მზა პროდუქცია	0
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1 700
სულ	1 026 973

8. თანამშრომელთა ხელფასები და ხელფასთან გათანაბრებული განაცემები

კომპანიის თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის ანაზღაურება ხდება ფიქსირებული განაკვეთით და შერეული, ფიქსირებულს + საპროცენტო ნაწილი განაკვეთით ან მხოლოდ საპროცენტო განაკვეთით. ასევე ანაზღაურებაში შედის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება, ავადმყოფობის გამო შვებულება და ბონუსები. ყველა სახის ანაზღაურება დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს.

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი
მედცენტრის დირექტორი
მედეა ქაჯაია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“

მმართველობითი ანგარიშგება

კონსოლიდირებული

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის მიმოხილვა

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2015 წლის 16 ივლისს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომერი 445466870. კლინიკის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, პუშკინის ქ., N118/N 120. კლინიკის სარეკლამო სახელწოდებაა „მედცენტრი“. კლინიკა ახორციელებს, როგორც სტაციონარულ ასევე ამბოლათორიულ მომსახურებას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლინიკის 100%-იანი წილის მფლობელია ბესიკ ტუნაძე პ/ნ 61001080129, ხოლო დირექტორი მედეა ქაჯაია, 61002003652.

კომპანიას გააჩნია შვილობილი საწარმოები:

- **შპს ინტენსიური ზრუნვის ცენტრი ს/ნ 402131527.**

რომელიც დაფუძნდა 2019 წლის ივლისში. ამ საწარმოში კომპანიის წილი შეადგენს 100%-ს; მისი მისამართია ქ. ბათუმი, ტბეთის 4 აღნიშნული საწარმოს საქმიანობის სფეროა რეფერალური დახმარებებიც ცენტრი.

- **შპს აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრი ს/ნ 245428372.**

საწარმოში კომპანიის მიერ 2019 წლის ნოემბერში შეძენილია 100%-იანი. კომპანია საწარმოს აკონტროლებს 2019 წლის ბოლოდან. მისი მისამართია მისამართია ქ. ბათუმი, პუშკინის 118. აღნიშნული საწარმოს საქმიანობის სფეროა უძრავი ქონების გაქირავება. თავის მხრივ ეს შვილობილი საწარმო 100%-იან წილს ფლობს **შპს მედიწვესტი-2017-ში**. მისი მისამართია ქ. ბათუმი, პუშკინის 118 აღნიშნული საწარმოს საქმიანობის სფეროა მშენებლობა

ბიზნეს მოდელი

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალ მედცენტრის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო საქმიანობა, რომელიც მოიცავს როგორც სტაციონარულ, ასევე ამბოლათორიულ მომსახურებას, კლინიკაში ფუნქციონირებს შემდეგი მხარეთულებები:

- ❖ გადაუდებელი მედიცინა (ემერჯენსი);
- ❖ კრიტიკული მედიცინა და ანესთეზია;
- ❖ ზოგადი ქირურგია;
- ❖ უროლოგია;
- ❖ გინეკოლოგია;
- ❖ ოტორინოლარინგოლოგია;
- ❖ ტრავმატოლოგია;
- ❖ კლინიკური ონკოლოგია (ქიმიოთერაპია და პალიატიური მედიცინა);

- ❖ ინტერვენციული კარდიოლოგია;
- ❖ არითმოლოგია;
- ❖ ანგიოლოგია;
- ❖ ნევროლოგია და ნეიროქირურგია;
- ❖ დიალიზი;
- ❖ რადიოლოგია (ულტრაბგერითი, რენტგენოლოგიური, კომპიუტერული და მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია);
- ❖ კლინიკური დიაგნოსტიკის, ბიოქიმიური, იმუნოფერმენტული და პათომორფოლოგიური ლაბორატორია;

გარდა აღნიშნული მიმართულებებისა კლინიკა მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა კლინიკურ კვლევებში, საქართველოსა და აჭარის ჯანდაცვის პროგრამებში. კლინიკაში მოქმედებს როგორც ინდივიდუალური, ასევე კორპორაციული და საყოველთაო დაზღვევა.

კომპანიის ღირებულებები

კლინიკის ძირითადი მიზანია დროული და სწორი სამედიცინო მომსახურების გაწევა, რისთვისაც იყენებს მაღალკვალიფიციურ მუშა ხელს და თანამედროვე ტექნიკას. კლინიკა ფლობს ახალ სამედიცინო აპარატს, როგორც ექოსკოპიურ კვლევებში, ასევე ლაბორატორიაში და სტაციონარში.

მიზნის მისაღწევად კომპანია ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

- **პასუხისმგებლობა** - მუდმივად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას როგორ პაციენტების, ასევე თანამშრომლებისა და საქმის მიმართ;
- **კეთილსინდისიერება** - კეთილსინდისიერად ვემსახურეთ თითოეულ პაციენტს;
- **პროფესიონალიზმი** - უწყვეტად ვიზრუნეთ ჩვენ პროფესიულ განვითარებაზე და პაციენტებს გავუწიოთ კვალიფიციური მომსახურება;
- **გუნდური სულისკვეთება** - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.

კომპანიის განვითარების გეგმა

კლინიკის დაგეგმილ პროექტებს შორის მნიშვნელოვანია შვილობილი კომპანიის შპს აჭარის არ ონკოლოგიის ცენტრის ს/კ 245428372 შერწყმა. გეგმების ნაწილს წარმოადგენს

ასევე სისხლის ბანკის განყოფილების გასხსნა და თირკმლის ტრანსპლანტოლოგიის განვითარება.

ვინაიდან კლინიკის მიზანია სწორი სადიაგნოსტიკო მკურნალობა და დროული სამედიცინო მომსახურების გაწევა, ორიენტირებულია თანამედროვე ტექნოლოგიების შეძენაზე.

მოკლევადიან გეგმას წარმოადგენს ახალი 640 შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფიის სისტემა Aquilion One - ის შეძენა, რაც კლინიკას უფრო კონკურენტუნარიან და შემოსავლიანს გახდის.

გეგმის ნაწილს წარმოადგენს ყელ-ყური ცხვირის სადიაგნოსტიკო სისტემის ახალი ტექნოლოგიებით შევსება და განყოფილების გაფართოება.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

ადამიანური რესურსი კომპანიის ერთ-ერთი მთავარი კაპიტალია.

შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- **შესაბამისი კადრის მოძიება და აყვანა**

კადრის შერჩევისას ყურადღება ექცევა როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე კლინიკა „მედიცენტრის“ ღირებულებებს, რომლებსაც უნდა იზიარებდეს კლინიკის უკლებლივ ყველა თანამშრომელი. ეს ღირებულებებია:

- პასუხისმგებლობა
- კეთილსინდისიერება
- პროფესიონალიზმი
- გუნდური სულისკვეთება
- მოქნილობა

- **თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება**

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უწყვეტად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე.

კომპანიის მენეჯმენტი უწყვეტად ზრუნავს თანამშრომლებისათვის ჯანსაღი, სამართლიანი და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნაზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს მათ მოტივაციის ამაღლებაზე.

სამოტივაციო სისტემა ასევე მოიცავს შემუშავებულ საბონუსე სისტემას;

„მედცენტრში“ და მის შვილობილ კომპანიებში სულ დასაქმებულია საშუალოდ 500-მდე ადამიანი. სამედიცინო პერსონალ დაკომპლექსებულია ძირითადად ბათუმელი სამედიცინო მედიკოსებით, ხოლო ადმინისტრაციული რგოლი მოიცავს მაღალკვალიფიციურ სამუშაო კადრებს.

რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კლინიკის საქმიანობის მოცულობისა და სირთულეების გათვალისწინებით არსებობს გარკვეული რისკები, რაც დაკავშირებულია, როგორც ფინანსურ ნაწილზე ასევე მენეჯმენტზე.

ფინანსური რისკის ნაწილს წარმოადგენს ლიკვიდურობა, რაც ასევე წარმოადგენს კლინიკის ფინანსურ დანაკარგს. ეს არის შემთხვევა, როცა ხელშეკრულების მეორე მხარე არ შეასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას და კლინიკას წარმოეშობა უიმედო მოთხოვნები, რაც თავის მხრივ კლინიკას ქმნის უუნაროს, რომ დაფაროს თავისი ვალდებულებები ფულადი სახსრებით. აღნიშნულ რისკებს წინასწარ უწყევს მონიტორინგს შესაბამისი კადრები, რომლებიც ხელმძღვანელობის მხრიდან პერიოდულად ტრენინგდებიან.

რისკფაქტორებში განიხილება ასევე საკრედიტო რისკი. ამ რისკზეა დამოკიდებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება. როგორც კლინიკის ბალანსიდან ვხედავთ საკრედიტო ვალდებულება მკვეთრად გაზრდილია, რაც აქტივების ზრდასთან არის დაკავშირებული.

საბაზრო რისკი კლინიკას უქმნის ფასების ცვალებადობის და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკს. ამ რისკების მართვის მიზანია მათზე დამოკიდებულების მართვა და მისაღები პარამეტრების ფარგლებში მაქსიმალური ამონაგების მიღება.

რისკფაქტორებში დიდად საყურადღებოა „ახალი რეგულაციების“ შემოღება, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს კლინიკის რეალიზაციას, თუ ამ რეგულაციების ცვლილებით უარი ითქმება მთლიანად ან ნაწილობრივ საყოველთაო დაზღვევის დაფინანსებაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს წარმოქმნილ ყველა რისკს და მართავს და განავითარებს მას შესაბამისი მართვის პოლიტიკის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების ფორმებში ვნახულობთ, რომ კლინიკის მომგებიანობა წინა წელთან შედარებით მატულობს, ეს არის ერთ-ერთი ფაქტი იმისა, რომ კლინიკა არ კარგავს ფუნქციონარობის პრინციპს და დაუბრკოლებლად აგრძელებს საქმიანობას. ამის დასტურს იძლევა ასევე ბალანსის მონაცემებიც, რაც შეგიძლიათ იხილოთ შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“-ის დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული აუდიტორულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი
მედცენტრის დირექტორი
მედეა ქაჯაია**

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი
მედიცინის და მისი შვილობილი კომპანიების
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31-Dec-19
აქტივები	
ფული და ფულის ექვივალენტები	33,297
მოთხოვნები მიწოდებიდან	6,614,699
გადახდილი ავანსები	597,160
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1,025,273
გაცემული სესხები	58,570
მისაღები პროცენტი	19,194
სხვა მიმდინარე აქტივები	266,700
სულ მიმდინარე აქტივები	8,614,893
ძირითადი საშუალებები	12,448,708
არამატერიალური აქტივები	875
გუდვილი	11,065,428
სულ გრძელვადიანი აქტივები	23,515,001
სულ აქტივები	32,129,904
ვალდებულებები	
სავაჭრო ვალდებულებები	18,933,601
მიღებული ავანსები	12,398
გადასახდელი ხელფასები	640,919
მოკლევადიანი სესხები	5,057,003
გადასახდელი პროცენტები	52,981
საგადასახადო ვალდებულებები	233,139
ოვერდრაფტი	372,652
მიმდინარე ვალდებულებები	25,302,693
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	206,906
გრძელვადიანი ვალდებულებები	206,906
სულ ვალდებულებები	25,509,599
კაპიტალი	
სააქციო კაპიტალი	311,235
გაუნაწილებელი მოგება	6,309,070
გადაფასების რეზერვი	
მთლიანი კაპიტალი	6,620,305
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	32,129,904



შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი
მედიცინის და მისი შვილობილი კომპანიების
სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის
კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2019 წელი

შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	18,399,442
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5,626,684)
Gross profit	12,772,759
ხელფასის ხარჯი	(7,578,165)
იჯარის ხარჯი	(635,935)
მიწოდების ხარჯები	(24,943)
ბანკის მომსახურება	(18,748)
ოფისის ხარჯი	(137,778)
საგადასახადო ხარჯი	(34,639)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(1,024,306)
სხვა ხარჯი	(137,471)
EBITDA	3,180,774
საპროცენტო შემოსავალი	23,417
საპროცენტო ხარჯი	(139,009)
წმინდა შემოსავალი/ზარალი კურსთაშორის	539,813
სხვაობიდან	
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	82,136
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(15,673)
Net profit	3,671,458
მოგების გადასახადი	
Net profit	3,671,458



შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრის და
მისი შვილობილი კომპანიების
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2019 წელი

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3,130,677
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან	16,962,996
გადახდილი მომწოდებლებზე	-6,462,747
გადახდილი ხელფასები	-5,767,353
გადახდილი გადასახადები	-1,602,220
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-5,011,902
სესხის გაცემა	
გაცემული სესხის მიღება	100
გრძელვადიანი ინვესტიციის შეძენა	-5,012,002
გრძელვადიანი ინვესტიციის რეალიზაცია	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1,918,550
მიღებული სესხი	3,120,752
გადახდილი სესხი	-953,834
გადახდილი %	-248,368
სავალუტო კურსის ეფექტი	-4,028
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	-4,028
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	33,297
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	33,297



შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრის და
მისი შვილობილი კომპანიების
კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ
31-Dec-18	311,235	2,637,612	3,883,707
შენატანები კაპიტალში			(934,860)
პერიოდის შემოსავალი		3,671,458	3,671,458
გადახდილი დივიდენდი			0
31-Dec-19	311,235	6,309,070	6,620,305



შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრის და მისი შვილობილი
კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

1. ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, პუშკინის ქ., N118/N 120

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალ მედცენტრის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო საქმიანობა, რომელიც მოიცავს როგორც სტაციონარულ, ასევე ამბოლატორიულ მომსახურებას, კლინიკაში ფუნქციონირებს შემდეგი მართულებები: გადაუდებელი მედიცინა (ემერჯენსი), კრიტიკული მედიცინა და ანესთეზია, ზოგადი ქირურგია, უროლოგია, გინეკოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ტრავმატოლოგია, კლინიკური ონკოლოგია (ქიმიოთერაპია და პალიატიური მედიცინა) ინტერვენციული კარდიოლოგია, არითმოლოგია, ანგიოლოგია, ნევროლოგია და ნეიროქირურგია, დიალიზი, რადიოლოგია (ულტრაბგერითი, რენტგენოლოგიური, კომპიუტერული და მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია), კლინიკური დიაგნოსტიკის, ბიოქიმიური, იმუნოფერმენტული და პათომორფოლოგიური ლაბორატორია.

„კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

კომპანიას გააჩნია შვილობილი საწარმოები:

შპს ინტენსიური ზრუნვის ცენტრი ს/ნ 402131527.

რომელიც დაფუძნდა 2019 წლის ივლისში. ამ საწარმოში კომპანიის წილი შეადგენს 100%-ს; მისი მისამართია ქ. ბათუმი, ტბეთის 4 აღნიშნული საწარმოს საქმიანობის სფეროა რეფერალური დახმარებები ცენტრი.

შპს აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრი ს/ნ 245428372.

საწარმოში კომპანიის მიერ 2019 წლის ნოემბერში შეძენილია 100%-იანი. კომპანია საწარმოს აკონტროლებს 2019 წლის ბოლოდან. მისი მისამართია მისამართია ქ. ბათუმი, პუშკინის 118. აღნიშნული საწარმოს საქმიანობის სფეროა უძრავი ქონების გაქირავება.

თავის მხრივ ეს შვილობილი საწარმო 100%-იან წილს ფლობს შპს მედინვესტი-2017-ში. მისი მისამართია ქ. ბათუმი, პუშკინის 118 აღნიშნული საწარმოს საქმიანობის სფეროა მშენებლობა

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, 2018 წელს შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი არ ფლობდა შვილობილ კომპანიებს. შესაბამისად კონსოლიდაციის ვალდებულება წარმოიშვა 2019 წლის მონაცემებში. ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დამფუძნებელთა კრებაზე.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საგადასახადო კანონმდებლობა. „კომპანია“ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1 სამუშაო ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით

ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2 ძირითადი საშუალებები

3.2.1 აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწვევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში. ასევე ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება მათი გადაფასება მსს ფასს მე-17 განყოფილების მოთხოვნათა დაცვით.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ხდება. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობებზე - 5 %

ნაგებობებზე - 5 %

მანქანა-დანადგარები და სამშენებლო ინსტრუმენტები - 8 %

ელექტრო აღჭურვილობა - 8 %

კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები - 20 %

კავშირგაბმულობის საშუალებები - 8 %

ავეჯი და ინვენტარი - 20 %

ტრანსპორტი - 20 %

სხვა ამორტიზებადი ძირ. საშუალებები - 15 %

1.2.2 აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსს ფასს სტანდარტის მე-20 განყოფილება – „იჯარა“ - მოითხოვს განსხვავებული მიდგომის გამოყენებას, აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის შემთხვევაში). ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად

წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან

სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად საუკეთესო შეფასების საფუძველზე იმ წინაპირობით, რომ ეს ვადა არ აღემატება 10 წელს.

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შემენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს მე-11 განყოფილების 11.2 (ბ) პუნქტის შესაბამისად, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოება ბასს 39-ის მიხედვით.

3.5.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

3.5.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად

და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.5.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

3.6 გადასახადები

3.6.1 მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების

თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

3.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

3.8 შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

3.9 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

4. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

- დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის გადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარე ბი	სპეციალური მოწყობილო ბები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	ტრანსპორ ტი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2018 წმინდა საბალანსო ღირებულება	669,506	1,482,529	341,425	3,277,342	333,469	0	10,467	6,114,738
შესყიდვები		180,840	158,333	2,118,658	240,127	156,229	253,388	3,107,574
კონსოლიდაც იით								
შემოსვლა	858,688	2,734,274	147,603	297,652	276,994	35,573	7,373	4,358,156
რეალიზაცია				-107,001	-596			-107,597
31 დეკემბერი 2019 ცვეთა		-77,820	-32,996	-811,312	-88,273	-12,899	-864	-1,024,164
31 დეკემბერი 2019 წმინდა საბალანსო ღირებულება	1,528,194	4,319,823	614,364	4,775,339	761,721	178,903	270,364	12,448,708

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2019 წელი
ნაღდი ფული სალაროში	3 627
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3 627
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	
ფული საბანკო ანგარიშებზე	29 670
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	29 670
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	
სულ	33 297

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2019 წელი
საქონელი	1 023 573
მზა პროდუქცია	0
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1 700
სულ	1 026 973

8. თანამშრომელთა ხელფასები და ხელფასთან გათანაბრებული განაკვეთები

კომპანიის თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის ანაზღაურება ხდება ფიქსირებული განაკვეთით და შერეული, ფიქსირებულს + საპროცენტო ნაწილი განაკვეთით ან მხოლოდ საპროცენტო განაკვეთით. ასევე ანაზღაურებაში შედის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება, ავადმყოფობის გამო შვებულება და ბონუსები. ყველა სახის ანაზღაურება დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს.

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი
მედცენტრის დირექტორი
მედეა ქაჯაია



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“

მმართველობითი ანგარიშგება

კონსოლიდირებული

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის მიმოხილვა

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2015 წლის 16 ივლისს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომერი 445466870. კლინიკის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, პუშკინის ქ., N118/N 120. კლინიკის სარეკლამო სახელწოდებაა „მედცენტრი“. კლინიკა ახორციელებს, როგორც სტაციონარულ ასევე ამბოლატორიულ მომსახურებას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლინიკის 100%-იანი წილის მფლობელია ბესიკ ტუნაძე პ/ნ 61001080129, ხოლო დირექტორი მედეა ქაჯაია, 61002003652.

კომპანიას გააჩნია შვილობილი საწარმოები:

- შპს ინტენსიური ზრუნვის ცენტრი ს/ნ 402131527.

რომელიც დაფუძნდა 2019 წლის ივლისში. ამ საწარმოში კომპანიის წილი შეადგენს 100%-ს; მისი მისამართია ქ. ბათუმი, ტბეთის 4 აღნიშნული საწარმოს საქმიანობის სფეროა რეფერალური დახმარებები ცენტრი.

- შპს აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრი ს/ნ 245428372.

საწარმოში კომპანიის მიერ 2019 წლის ნოემბერში შეძენილია 100%-იანი. კომპანია საწარმოს აკონტროლებს 2019 წლის ბოლოდან. მისი მისამართია მისამართია ქ. ბათუმი, პუშკინის 118. აღნიშნული საწარმოს საქმიანობის სფეროა უძრავი ქონების გაქირავება.

თავის მხრივ ეს შვილობილი საწარმო 100%-იან წილს ფლობს შპს მედინვესტი-2017-ში. მისი მისამართია ქ. ბათუმი, პუშკინის 118 აღნიშნული საწარმოს საქმიანობის სფეროა მშენებლობა

ბიზნეს მოდელი

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალ მედცენტრის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო საქმიანობა, რომელიც მოიცავს როგორც სტაციონარულ, ასევე ამბოლატორიულ მომსახურებას, კლინიკაში ფუნქციონირებს შემდეგი მართულეები:

- ❖ გადაუდებელი მედიცინა (ემერჯენსი);
- ❖ კრიტიკული მედიცინა და ანესთეზია;
- ❖ ზოგადი ქირურგია;
- ❖ უროლოგია;
- ❖ გინეკოლოგია;
- ❖ ოტორინოლარინგოლოგია;
- ❖ ტრავმატოლოგია;
- ❖ კლინიკური ონკოლოგია (ქიმიოთერაპია და პალიატიური მედიცინა);

- ❖ ინტერვენციული კარდიოლოგია;
- ❖ არითმოლოგია;
- ❖ ანგიოლოგია;
- ❖ ნევროლოგია და ნეიროქირურგია;
- ❖ დიალიზი;
- ❖ რადიოლოგია (ულტრაბგერითი, რენდგენოლოგიური, კომპიუტერული და მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია);
- ❖ კლინიკური დიაგნოსტიკის, ბიოქიმიური, იმონოფერმენტული და პათომორფოლოგიური ლაბორატორია;

გარდა აღნიშნული მიმართულებებისა კლინიკა მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა კლინიკურ კვლევებში, საქართველოსა და აჭარის ჯანდაცვის პროგრამებში. კლინიკაში მოქმედებს როგორც ინდივიდუალური, ასევე კორპორაციული და საყოველთაო დაზღვევა.

კომპანიის ღირებულებები

კლინიკის ძირითადი მიზანია დროული და სწორი სამედიცინო მომსახურების გაწევა, რისთვისაც იყენებს მაღალკვალიფიციურ მუშა ხელს და თანამედროვე ტექნიკას. კლინიკა ფლობს ახალ სამედიცინო აპარატს, როგორც ექსკოპიურ კვლევებში, ასევე ლაბორატორიაში და სტაციონარში.

მიზნის მისაღწევად კომპანია ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

- **პასუხისმგებლობა** - მუდმივად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას როგორ პაციენტების, ასევე თანამშრომლებისა და საქმის მიმართ;
- **კეთილსინდისიერება** - კეთილსინდისიერად ვემსახუროთ თითოეულ პაციენტს;
- **პროფესიონალიზმი** - უწყვეტად ვიზრუნოთ ჩვენ პროფესიულ განვითარებაზე და პაციენტებს გავუწიოთ კვალიფიციური მომსახურება;
- **გუნდური სულისკვეთება** - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.

კომპანიის განვითარების გეგმა

კლინიკის დაგეგმილ პროექტებს შორის მნიშვნელოვანია შვილობილი კომპანიის შპს აჭარის არ ონკოლოგიის ცენტრის ს/კ 245428372 შერწყმა. გეგმების ნაწილს წარმოადგენს

ასევე სისხლის ბანკის განყოფილების გასხსნა და თირკმლის ტრანსპლანტოლოგიის განვითარება.

ვინაიდან კლინიკის მიზანია სწორი სადიაგნოსტიკო მკურნალობა და დროული სამედიცინო მომსახურების გაწევა, ორიენტირებულია თანამედროვე ტექნოლოგიების შეძენაზე.

მოკლევადიან გეგმას წარმოადგენს ახალი 640 შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფიის სისტემა Aquilion One - ის შეძენა, რაც კლინიკას უფრო კონკურენტუნარიან და შემოსავლიანს გახდის.

გეგმის ნაწილს წარმოადგენს ყელ-ყური ცხვირის სადიაგნოსტიკო სისტემის ახალი ტექნოლოგიებით შევსება და განყოფილების გაფართოება.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

ადამიანური რესურსი კომპანიის ერთ-ერთი მთავარი კაპიტალია.

შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- შესაბამისი კადრის მოძიება და აყვანა

კადრის შერჩევისას ყურადღება ექცევა როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე კლინიკა „მედცენტრის“ ღირებულებებს, რომლებსაც უნდა იზიარებდეს კლინიკის უკლებლივ ყველა თანამშრომელი. ეს ღირებულებებია:

- პასუხისმგებლობა
- კეთილსინდისიერება
- პროფესიონალიზმი
- გუნდური სულისკვეთება
- მოქნილობა

- თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უწყვეტად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე.

კომპანიის მენეჯმენტი უწყვეტად ზრუნავს თანამშრომლებისათვის ჯანსაღი, სამართლიანი და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნაზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს მათ მოტივაციის ამაღლებაზე.

სამოტივაციო სისტემა ასევე მოიცავს შემუშავებულ საბონუსე სისტემას;

„მედცენტრში“ და მის შვილობილ კომპანიებში სულ დასაქმებულია საშუალოდ 500-მდე ადამიანი. სამედიცინო პერსონალ დაკომპლექსებულია ძირითადათ ბათუმელი სამედიცინო მედიკოსებით, ხოლო ადმინისტრაციული რგოლი მოიცავს მაღალკვალიფიციურ სამუშაო კადრებს.

რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კლინიკის საქმიანობის მოცულობისა და სირთულეების გათვალისწინებით არსებობს გარკვეული რისკები, რაც დაკავშირებულია, როგორც ფინანსურ ნაწილზე ასევე მენეჯმენტზე.

ფინანსური რისკის ნაწილს წარმოადგენს ლიკვიდურობა, რაც ასევე წარმოადგენს კლინიკის ფინანსურ დანაკარგს. ეს არის შემთხვევა, როცა ხელშეკრულების მეორე მხარე არ შეასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას და კლინიკას წარმოეშობა უიმედო მოთხოვნები, რაც თავის მხრივ კლინიკას ქმნის უუნაროს, რომ დაფაროს თავისი ვალდებულებები ფულადი სახსრებით. აღნიშნულ რისკებს წინასწარ უწყევს მონიტორინგს შესაბამისი კადრები, რომლებიც ხელმძღვანელობის მხრიდან პერიოდულად ტრენინგდებიან.

რისკფაქტორებში განიხილება ასევე საკრედიტო რისკი. ამ რისკზეა დამოკიდებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება. როგორც კლინიკის ბალანსიდან ვხედავთ საკრედიტო ვალდებულება მკვეთრად გაზრდილია, რაც აქტივების ზრდასთან არის დაკავშირებული.

საბაზრო რისკი კლინიკას უქმნის ფასების ცვალებადობის და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკს. ამ რისკების მართვის მიზანია მათზე დამოკიდებულების მართვა და მისაღები პარამეტრების ფარგლებში მაქსიმალური ამონაგების მიღება.

რისკფაქტორებში დიდად საყურადღებოა „ახალი რეგულაციების“ შემოღება, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს კლინიკის რეალიზაციას, თუ ამ რეგულაციების ცვლილებით უარი ითქმება მთლიანად ან ნაწილობრივ საყოველთაო დაზღვევის დაფინანსებაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს წარმოქმნილ ყველა რისკს და მართავს და განავითარებს მას შესაბამისი მართვის პოლიტიკის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების ფორმებში ვნახულობთ, რომ კლინიკის მომგებიანობა წინა წელთან შედარებით მატულობს, ეს არის ერთ-ერთი ფაქტი იმისა, რომ კლინიკა არ კარგავს ფუნქციონარობის პრინციპს და დაუბრკოლებლად აგრძელებს საქმიანობას. ამის დასტურს იძლევა ასევე ბალანსის მონაცემებიც, რაც შეგიძლიათ იხილოთ შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“-ის დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2019 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული აუდიტორულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი
მედცენტრის დირექტორი
მედეა ქაჯაია



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრის დამფუძნებლებს

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2020 წლის 9 ივლისს და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2019 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2018 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიებისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიების ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური

ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიების ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ჯავახავტოგზის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიების როგორც ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიები, როგორც ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი

უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენილობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

სხვა გარემოებები

შპს შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრისა და მისი შვილობილი კომპანიების როგორც ჯგუფის წინა პერიოდების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი ჩატარებული არ არის.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

სს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

პატივისცემით,

ოთარ ახოზაძე
გარიგების პარტნიორი

ხელმოწერა

თარიღი 29.09.2020წ.



სს აუდიტორული კომპანია „ალტერ ეგო“